საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/10233
06/12/2019

10233-09-2-201912061701

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის
პროგრამის კოორდინატორს ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

#3-465 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ მოწოდებული ლაბორატორიული კვლევის შედეგების გათვალისწინებით, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში განხორციელებული მიკვლევადობის საფუძველზე, შეამოწმა ბაზარზე არსებული წითელი წიწაკის სხვადასხვა მიმწოდებელი და იმპორტიორი.

შპს „მარნეულის სასურსათო ქარხანა“ - მარაგდება შპს „ჯეო“-ს წითელი წიწაკით, სადაც სუდანის ჯგუფის საღებავები არ აღმოჩნდა.

შპს „მარნეულის სასურსათო ქარხანამ“ სააგენტოს 2019 წლის 21 აგვისტოს მომართა 2019 წელს წარმოებული ტრადიციული წითელი ტყემლის ნიმუშების აღებაზე ზედამხედველობის თხოვნით, ხოლო 21.06.2018 წელს დამზადებული ტრადიციული წითელი ტყემლის ნიმუშის აღების თაობაზე მოგვმართა დეკემბერში. სააგენტოს უფლებამოსილი პირების ზედამხედველობით აღებული 21.06.2018 წელს დამზადებული ტრადიციული წითელი ტყემლის ნიმუშის კვლევის შედეგები ჯერჯერობით არ არის ცნობილი.

სააგენტოს უფლებამოსილი პირების ზედამხედველობით დაილუქა ასევე შპს „გსქ კულას“ მიერ ბაზრიდან გამოთხოვილი წითელი ტყემალი კლასიკური (დამზადების თარიღი: 08.04.2019), ხოლო ნიმუში ლაბორატორიული ტესტირებისათვის გაიგზავნა შპს „გსქ კულას“ მიერ.

შპს „გსქ კულა“-ს სააგენტოსათვის უფლებამოსილი პირების ზედამხედველობით „წითელი ტყემალი კლასიკურის“ (დამზადების თარიღი: 08.04.2019) ნიმუშის აღების თაობაზე წერილობით არ მოუმართავს.

დღევანდელი მდგომარეობით, კვლავ აკრძალულია დანართში ჩამოთვლილი სურსათის პარტიების რეალიზაცია, ბიზნესოპერატორებმა ბაზრიდან გამოითხოვეს აღნიშნული სურსათი, რომელიც დალუქულია სააგენტოს მიერ. ამასთან, გაცნობებთ, რომ აკრძალვა იმოქმედებს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

ზურაბ ჩეკურაშვილი

ქ. თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 91 91 67
ფაქ/Fax: (+995 32) 91 91 65
www.nfa.gov.ge
info@nfa.gov.ge

სააგენტოს უფროსი